

---

დანიშნული საფრენოსნო  
გამომცდელის  
სახელმძღვანელო

---

|                                                                                   |                                                 |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                 | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | სარჩევი                                         | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                 | გვერდი    | 2/80       |

## 0. სარჩევი

|                                                                                                                             |    |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| 0. სარჩევი.....                                                                                                             | 2  |
| 1. ანოტაცია.....                                                                                                            | 4  |
| 2. რევიზიების ისტორია .....                                                                                                 | 5  |
| 3. ცვლილებები წინა ვერსიასთან შედარებით .....                                                                               | 6  |
| 4. ტერმინები და განმარტებები.....                                                                                           | 7  |
| 5. მიზანი .....                                                                                                             | 8  |
| 6. მოქმედების სფერო.....                                                                                                    | 8  |
| 7. სახელმძღვანელოს კონტროლი და გამოქვეყნება.....                                                                            | 8  |
| 8. მარეგულირებელი ნორმატიული აქტები და სტანდარტები .....                                                                    | 9  |
| 9. ფუნქციები და პასუხისმგებლობები.....                                                                                      | 9  |
| 10. პროცედურა (უფლებამოსილების მინიჭების პოლიტიკა) .....                                                                    | 11 |
| 10.1 ინტერესთა კონფლიქტი .....                                                                                              | 14 |
| 11. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.....                                                                | 15 |
| 11.1. მოქმედი უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის კვალიფიკაციის შენარჩუნების მოთხოვნები და ვალდებულებები.....                         | 16 |
| 12. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის განაცხადის მიღება და უფლებამოსილების მინიჭება .....                                           | 17 |
| 12.1 ექსპლუატანტის ვალდებულებები .....                                                                                      | 17 |
| 12.2. სააგენტოს ვალდებულებები.....                                                                                          | 17 |
| 12.3. ადმინისტრაციული პროცედურები .....                                                                                     | 18 |
| 12.4. კანდიდატის მიერ ჩატარებული ოსტატობის დამადასტურებელი შეფასების ზედამხედველობა .....                                   | 20 |
| 12.4.1. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის შემოწმების მოსამზადებელი პროცედურა .....                                                  | 20 |
| 12.4.2. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის შემოწმებისთვის გამოყენებული საპაერო ხომალდის/ საწაფის მიმართ წაყენებული მოთხოვნები .....  | 21 |
| 12.4.3. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის შეფასება .....                                                                            | 22 |
| 12.4.4. სააგენტოს ინსპექტორის პასუხისმგებლობა .....                                                                         | 24 |
| 12.4.5. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის უფლებამოსილების ვადის ამოწურვა.....                                                       | 25 |
| 12.5. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორზე ზედამხედველობა.....                                                                         | 25 |
| 12.6. სხვა სახელმწიფოს /გამომცდელის/ საწაფის გამომცდელის განაცხადის განხილვა/შეფასება/დადასტურების პროცესის წარმართვა. .... | 26 |
| 13. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის (TRE/SFE) ოსტატობის ვადის გაგრძელების პროცედურა .....                                         | 26 |
| 14. დანართები.....                                                                                                          | 27 |
| 14.1. სხვა ქვეყნის უფროსი პილოტ-ინსტრუქტორების ინსტრუქტაჟი .....                                                            | 27 |
| 14.2. Appendix 4 (part 1) .....                                                                                             | 31 |
| 14.3. Appendix 4 (part 2) .....                                                                                             | 49 |

|                                                                                   |                                                 |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                 | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | სარჩევი                                         | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                 | გვერდი    | 3/80       |

|                                 |    |
|---------------------------------|----|
| 14.4. Appendix 4 (part 3) ..... | 63 |
| 14.5. Appendix 6. ....          | 77 |
| 14.6. Appendix 7. ....          | 78 |

|                                                                                   |                                                 |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                 | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | ანოტაცია                                        | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                 | გვერდი    | 4/80       |

## 1. ანოტაცია

|                      |                                                                                                        |
|----------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------|
| დოკუმენტის ტიპი:     | კონტროლირებადი შიდა დოკუმენტი                                                                          |
| დოკუმენტის სახეობა:  | სახელმძღვანელო                                                                                         |
| დოკუმენტის კატეგორია | შიდა სამსახურეობრივი  |
| მოქმედების სფერო:    | სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს [FSD დეპარტამენტი]                                                       |
| დამტკიცებულია :      | სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ დირექტორის ბრძანებით                                              |
| ავტორი:              | გიორგი ხეთერელი,<br>დავით სარჯველაძე,                                                                  |
| რევიზიის თარიღი:     | 26.08.2025                                                                                             |

|          | თანამდებობა                                                                            | სახელი, გვარი   |
|----------|----------------------------------------------------------------------------------------|-----------------|
| მომზადდა | ფრენის სტანდარტების სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი | გიორგი ხეთერელი |
|          | ფრენის სტანდარტების სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის სპეციალისტი         | დათო სარჯველაძე |
| განიხილა | ფრენის სტანდარტების სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი              | კახა ჩაჩავა     |
|          | ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი                                                   | ვერიკო ბახტაძე  |

|                                                                                   |                                                 |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                 | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | რევიზიების ისტორია                              | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                 | გვერდი    | 5/80       |

|           |                                                                                                              |                       |
|-----------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------|
|           | სამართალშემოქმედების, საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროკავშირის რეგულაციების დანერგვის დეპარტამენტის უფროსი | ნინო წოტოძე           |
| შეიტანება | ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი                                                                        | თამარ ლუტიძე          |
| დაამტკიცა | სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის მ.შ.                                                                | ალექსანდრე ბაიდოშვილი |

## 2. რევიზიების ისტორია

| რევიზიის № | ინიციატორი      | საფუძველი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     | თარიღი     |
|------------|-----------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|
| 0.1        | გიორგი ხეთერელი | სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანება ნომერი №150 ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესებით დადგენილი მე-12 და (პილოტ-ინსტრუქტორის და უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის ოსტატობის აღნიშვნა, საწაფის პილოტ-ინსტრუქტორი) 41-ე მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. (პილოტ-ინსტრუქტორის და უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის ინსტრუქტორად მომზადება, მოქმედების ვადის გაგრძელება (თვითმფრინავი, შვეულმფრენი, ვსხ) | 26.08.2025 |
|            |                 |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |            |
|            |                 |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |            |
|            |                 |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |            |
|            |                 |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |            |



|                                                                                   |                                                 |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                 | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | ტერმინები და განმარტებები                       | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                 | გვერდი    | 7/80       |

კერძოდ მე-13 პუნქტად, ხოლო არსებული მე-9 პუნქტი („დანართები“) გახდა პუნქტი 14, რომელსაც დაემატა დანართები FSD 05-23, FSD 05-25 და FSD 06-4.

პუნქტი 11 - უფროსი პილოტ ინსტრუქტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოყვანილი იქნა შესაბამისობაში „ავიასპეციალისტების სერტიფიცირების წესის“ მე-12 მუხლი მე-5 პუნქტის მოთხოვნებთან.

| ვერსიის N | ცვლილების აღწერა                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |
|-----------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 0.1       | <p>პუნქტი 7 შეიცვალა პუნქტი 11-ით და მოყვანილი იქნა შესაბამისობაში მოთხოვნებთან.</p> <p>პუნქტი 8 შეიცვალა პუნქტი 12-ით ავიასპეციალისტების სერტიფიცირების სპეციალისტის მოვალეობები დაკონკრეტდა 12.2 და 12.3 პუნქტებში.</p> <p>პუნქტი 12.5 „უფროსი პილოტ-ინსტრუქტორზე ზედამხედველობა“ მოყვანილი იქნა შესაბამისობაში 150-ე ბრძანების 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან.</p> <p>დაემატა პუნქტი 13<br/> “უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის (TRE) და საწაფის უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის (SFE) ოსტატობის ვადის გაგრძელება”</p> <p>პუნქტი 9 შეიცვალა პუნქტი 14-ით</p> <p>პუნქტი 14-ში:<br/> გაუქმდა დანართი FSD05-1;<br/> დაემატა დანართები:<br/> FSD05-23, FSD05-25, FSD06-4.</p> |

#### 4. ტერმინები და განმარტებები

სააგენტო

სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ფშს

ფრენების შესრულების სახელმძღვანელო

უფროსი პილოტ-  
ინსტრუქტორი  
(TRE)/საწაფის  
პილოტ-  
ინსტრუქტორი (SFE)

უფროსი

წინამდებარე პროცედურის მიზნებისათვის - შესაბამისი ოსტატობის აღნიშვნის მფლობელი პირი, რომელიც სააგენტოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე ახორციელებს პილოტების საკვალიფიკაციო შემოწმებას (proficiency check) ან უნარების შემოწმებას (skill test) საჰაერო ხომალდზე ან/და საწაფზე.

უფროსი პილოტ-  
ინსტრუქტორის  
მომზადება

სწავლება, რომელსაც გადის უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი ოსტატობის გაცემამდე განხორციელებამდე.

უნარების შემოწმება/Skill  
Test

მოწმობის ან ოსტატობის გასაცემად უნარების შემოწმება, მათ შორის ზეპირი გამოცდა, თუ არსებობს ამის საჭიროება.

|                                                                                   |                                                 |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                 | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | მიზანი                                          | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                 | გვერდი    | 8/80       |

#### საკვალიფიკაციო

#### შემოწმება /Proficiency Check

#### საფრენოსნო ინსპექტორი

უნარების შემოწმება ოსტატობის ვადის გასვლის ან განახლების შემთხვევაში, მათ შორის ზეპირი გამოცდა, თუ არსებობს ამის საჭიროება.

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს პილოტ-ინსპექტორი, რომელიც ახორციელებს უფროს პილოტ-ინსტრუქტორებზე ზედამხედველობას.

#### კანდიდატი

ავიაკომპანიის მერ წარდგენილი უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი, რომელსაც სააგენტომ უნდა მიაწოდოს უფლებამოსილება.

#### შემოწმება

ამ პროცედურის მიზნებისათვის - საფრენოსნო ინსპექტორის მიერ უფროს პილოტ-ინსტრუქტორზე ზედამხედველობის მიზნით განხორციელებულ შეფასებას

## 5. მიზანი

წინამდებარე სახელმძღვანელო განსაზღვრავს ქმედებებს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საჰაერო ხომალდის ტიპისა და კლასის გამომცდელის, უფროსი პილოტ ინსტრუქტორის/საწაფის უფროსი პილოტ ინსტრუქტორის TRE/SFE/CPI კვალიფიკაციის მინიჭება, მინიჭებიდან ყოველ მომდევნო სამ წელიწადში ერთხელ ვადის გაგრძელება და ზედამხედველობა. აგრეთვე, სხვა ქვეყნის გამომცდელის უფლებამოსილების აღიარება, იმ შემთხვევაში თუ ის არ წარმოადგენს სააგენტოს მიერ აღიარებულ სდ-ს და არ ატარებს შემოწმებას სასწავლო დაწესებულების სახელით.

## 6. მოქმედების სფერო

სახელმძღვანელო შემუშავებულია სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ფრენის სტანდარტების, სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის საფრენოსნო ინსპექტორებისათვის და სააგენტოს მიერ დანიშნული ან აღიარებული უფროსი პილოტ-ინსტრუქტორებისათვის.

## 7. სახელმძღვანელოს კონტროლი და გამოქვეყნება

სახელმძღვანელოს გამოცემასა და კონტროლზე პასუხისმგებელია სააგენტოს ფრენის სტანდარტების, სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტი. დოკუმენტის აქტუალობის გადასინჯვა ხორციელდება ყოველწლიურად. სახელმძღვანელოს ამტკიცებს სააგენტოს დირექტორი. დამტკიცებული დოკუმენტი ქვეყნდება სააგენტოს ელექტრონულ ბიბლიოთეკაში და შიდა სწავლების გზით გაეცნობა ფრენის სტანდარტების სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის და ადმინისტრაციული დეპარტამენტის ყველა იმ თანამშრომლებს რომლებიც არიან ჩართულები აღნიშნულ პროცესში.



|                                                                                   |                                                 |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                 | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | მარეგულირებელი ნორმატიული აქტები და სტანდარტები | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                 | გვერდი    | 9/80       |

## 8. მარეგულირებელი ნორმატიული აქტები და სტანდარტები

- საქართველოს საჰაერო კოდექსი;
- სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დებულება;
- სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №150 "ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების" დამტკიცების შესახებ, მუხლი 12 და 41.
- ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- სააგენტოს საქმისწარმოების ინსტრუქცია;
- სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის №203 ბრძანება "თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესების" დამტკიცების შესახებ.
- ევროპის კომისიის რეგულაცია (EU) No 1178/2011, 2011 წლის 3 ნოემბერი, სამოქალაქო ავიაციის საჰაერო ეკიპაჟის სერტიფიცირების ტექნიკური მოთხოვნებისა და ადმინისტრაციული პროცედურების დადგენის თაობაზე.
- სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 31 აგვისტოს №166 ბრძანება "სამოქალაქო საავიაციო საქმიანობის ინსპექტირების წესის დამტკიცების შესახებ"

## 9. ფუნქციები და პასუხისმგებლობები

სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორი (FSD დეპარტამენტის კურატორი):

- რეზოლუციით ავალებს ფრენის სტანდარტების, სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსს განცხადების განხილვას და წინამდებარე პროცედურით განსაზღვრული ქმედებების განხორციელებას.
- იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას უფროსი პილოტ ინსტრუქტორის (გამომცდელის) კვალიფიკაციის მინიჭებასა და გაგრძელების თაობაზე.
- ხელს აწერს ბრძანებას და ავტორიზაციის წერილს კვალიფიკაციის მინიჭების, გაგრძელების, შეჩერებისა და გაუქმების თაობაზე თაობაზე.
- ხელს აწერს ყველა იმ წერილს რომელიც ეგზავნება ექსპლუატანტს წარმოდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით.

ფრენის სტანდარტების სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი:

- მონაწილეობს საფრენოსნო გამომცდელის კვალიფიკაციის მინიჭება/გაგრძელების პროცესში.
- ექსპლუატანტის მიერ შემოსულ განაცხადის დამუშავებას ავალებს ფრენის სტანდარტების სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს და ამავე დეპარტამენტის სპეციალისტს („PEL“).
- წერს სააგენტოს დირექტორის სახელზე მოხსენებით ბარათს, საფრენოსნო გამომცდელის კვალიფიკაციის მინიჭების, გაგრძელების, შეჩერებისა და გაუქმების თაობაზე.
- მონაწილეობს ვიზირებათა პროცესში.

|                                                                                   |                                                 |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                 | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | ფუნქციები და პასუხისმგებლობები                  | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                 | გვერდი    | 10/80      |

**ფრენის სტანდარტების სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (შემდგომში - სააგენტოს უფროსი პილოტ ინსტრუქტორი)**

- განაცხადის განხილვის ეტაპზე, ფრენის სტანდარტების სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის სპეციალისტთან („PEL“) ერთად ამოწმებს გაუქმებული კვალიფიკაციის უფროსი პილოტ-ინსტრუქტორების ბაზას.
- განიხილავს ფრენის სტანდარტების სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსის მიერ საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის (EDOC) მეშვეობით გადმოწერილ დოკუმენტაციას, ამავე დეპარტამენტის სპეციალისტთან ერთად.
- უფროსი პილოტ-ინსტრუქტორობებისთვის, ან უფროსი პილოტ-ინსტრუქტორობებისთვის მამიებლებისათვის ახორციელებს გაცნობით ხასიათის ინსტრუქტაჟის ჩატარებას, FSD 06-4 ფორმაში გაწერილ საკითხებთან დაკავშირებით და ადასტურებს აღნიშნულ დოკუმენტზე ხელის მოწერით. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორობის კანდიდატს უტარებს კომპეტენციის შეფასება/შემოწმებას FSD 05-11 დოკუმენტის მიხედვით, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოწმებას ატარებს სააგენტოს მიერ უფლებამოსილი უფროსი პილოტ ინსტრუქტორი, განიხილავს ამავე პირის მიერ მოცემულ დოკუმენტში შეტანილ ინფორმაციას.
- მონაწილეობს ვიზირების პროცესში.
- განიხილავს პერსონალის ლიცენზირების სპეციალისტთან (PEL) ერთად №8 დანართის მეშვეობით სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი საავიაციო ხელისუფლების გამომცდელის მომართვას შემდეგ ელ-ფოსტაზე: [flightstandards@gcaa.ge](mailto:flightstandards@gcaa.ge) და აცნობებს, დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას შემოწმების უფლების აღიარების შესახებ.
- უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შენახვას, სააგენტოს PEL სპეციალისტთან კოორდინაციით.

**ფრენის სტანდარტების სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის სპეციალისტი (შემდგომში - პერსონალის ლიცენზირების „PEL“ სპეციალისტი)**

- განაცხადის განხილვის ეტაპზე, უფროსი პილოტ ინსტრუქტორთან ერთად ამოწმებს გაუქმებული კვალიფიკაციის უფროსი პილოტ-ინსტრუქტორების ბაზას.
- განიხილავს ფრენის სტანდარტების სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსის მიერ საქმის წარმოების პროგრამის მეშვეობით გადმოწერილ დოკუმენტაციას, ამავე დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტთან (სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი) ერთად.
- ექსპლუატანტის მიერ განაცხადის სრულად და ზუსტად წარმოდგენის შემთხვევაში, ამზადებს წერილს გაცნობითი ხასიათის ინსტრუქტაჟზე დაბარების თაობაზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ განაცხადება სრულად არ არის წარმოდგენილი - ხარვეზის თაობაზე.
- განიხილავს სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორთან ერთად ინსტრუქტაჟის შემდეგ ჩატარებულ შემოწმებას, რომელიც ფორმდება FSD 05-11 დოკუმენტის მეშვეობით
- ამზადებს ბრძანებასა და ავტორიზაციის წერილს გამომცდელის კვალიფიკაციის მინიჭება/გაგრძელების თაობაზე.

|                                                                                   |                                                 |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                 | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | პროცედურა (უფლებამოსილების მინიჭების პოლიტიკა)  | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                 | გვერდი    | 11/80      |

- ახორციელბს მოწმობაში ოსტატობის აღნიშვნას კონკრეტული საჰაერო ხომალდის ტიპზე, იმ შემთხვევაში თუ გამომცდელი ფლობს პილოტის მოწმობის მოქმედ ლიცენზიას.
- მონაწილეობს ვიზირებათა პროცესში.
- განიხილავს სააგენტოს უფროს პილოტ ინსტრუქტორთან ერთად №8 დანართის მეშვეობით სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი საავიაციო ხელისუფლების გამომცდელის მომართვას შემდეგ ელ-ფოსტაზე: [flightstandards@gcaa.ge](mailto:flightstandards@gcaa.ge) და აცნობებს, დადებით ან ურყოფით გადაწყვეტილებას შემოწმების უფლების აღიარების შესახებ.
- უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შენახვას, სააგენტოს უფროს პილოტ ინსტრუქტორთან კოორდინაციით.

## 10. პროცედურა (უფლებამოსილების მინიჭების პოლიტიკა)

უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი უფლებამოსილია განახორციელოს პილოტებისა და მფრინავ კურსანტების უნარების შემოწმება, წელიწადში ერთხელ საკვალიფიკაციო შემოწმება და საჭიროებისამებრ რეიტინგის/კვალიფიკაციის შენარჩუნების მიზნით, სახელსაწყო ფრენის ოსტატობის შემოწმება. სააგენტოს უფროს პილოტ-ინსტრუქტორმა უნდა უზრუნველყოს გაცნობითი ხასიათის ინსტრუქტაჟის ჩატარება გამომცდელის კვალიფიკაციის პირველადი მინიჭებისას და კვალიფიკაციის შენარჩუნებისას, აგრეთვე განახორციელოს მათი მონიტორინგი.

საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის მიერ წარდგენილი განცხადება უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის უფლებამოსილების მინიჭების ან გაგრძელების თაობაზე, შესაბამისი თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე მოწმდება სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ფრენის სტანდარტების სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის სპეციალისტისა და სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსპექტორის მიერ. დოკუმენტაციის გადამოწმება ხორციელდება საკონტროლო ბარათების მეშვეობით (FSD 05-19; FSD 05-20; FSD 05-23; FSD 05-25), რის შემდეგაც დასტურდება კანდიდატის შესაბამისობა ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესის მოთხოვნებთან. გადამოწმებული დოკუმენტაცია ინახება სპეციალურად შექმნილ ბაინდერში, რომელიც განთავსებულია სააგენტოს ფრენის სტანდარტებისა და ინსპექტირების დეპარტამენტში.

ასევე უფროსი პილოტ-ინსტრუქტორების ბაზის წარმოება ხდება ავიასპეციალისტთა მონაცემთა ბაზაში (PEL DATABASE), რომელშიც მათი მოიძიება ხდება საჰაერო ხომალდის ტიპისა და კლასის მიხედვით

სააგენტო ვებგვერდზე აქვეყნებს ყველა დანიშნული უფროსი პილოტ-ინსტრუქტორების სიას სხ-ს კლასისა და ტიპის დაშვებისა და უფლებამოსილების მოქმედების ვადის მითითებით.

სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი ამოწმებს როგორც, მფრინავებს, ასევე პილოტ-ინსტრუქტორებს TRI/SFI,PI რომლებიც, არიან გამომცდელის კვალიფიკაციის მადიებელნი, ანუ იგივე პოტენციური უფროსი პილოტ-ინსტრუქტორები, რომლებსაც მომავალში მიეცემათ უფლება, რომ ჩაუტარონ საკვალიფიკაციო შემოწმება - როგორც მფრინავებს, ასევე სააგენტოს მიერ უფლებამოსილ უკვე არსებულ გამომცდელებსაც.

|                                                                                   |                                                 |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                 | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | პროცედურა (უფლებამოსილების მინიჭების პოლიტიკა)  | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                 | გვერდი    | 12/80      |

პილოტ-ინსტრუქტორები, სააგენტოს დირექტორის №150 ბრძანების მე-12 და 41-ე მუხლის მიხედვით, იყოფა შემდეგ კატეგორიებად: TRI, SFI, CPI.

უფროსი პილოტ-ინსტრუქტორობის კანდიდატების შემოწმებისა და გამოცდის ფუნქციას ახორციელებს სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი, რათა დაკმაყოფილებული იყოს მოთხოვნა, რომ ნებისმიერი მფრინავი თავის საფრენოსნო მოვალეობების შესრულებისას მუდმივად ფლობს და ინარჩუნებს სამოქალაქო ავიაციის წესებით განსაზღვრულ საჭირო პროფესიონალურ დონეს და უნარჩვევებს.

იმის გამო, რომ სააგენტოს არ ჰყავს საკმარისი რაოდენობის საფრენოსნო ინსპექტორი, სააგენტოს შეუძლია გამოიყენოს ავიაკომპანიის შესაბამისი პერსონალი (უფროსი პილოტ-ინსტრუქტორები) ან სხვა ქვეყნის უფროსი პილოტ-ინსტრუქტორები, რომლებიც ამ უფლებამოსილებას განახორციელებენ სააგენტოს სახელით.

უფროსი პილოტ-ინსტრუქტორების რაოდენობა და მათ მიერ განხორციელებული შეფასებები კონტროლდება სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის მიერ. აღნიშნული მონიტორინგის მიზანია უზრუნველყოფილი იყოს, რომ ყველა ჩატარებული შემოწმება სრულად შეესაბამება დადგენილ პროცედურებსა და სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სტანდარტებს.

ექსპლუატანტი წარმოადგენს განაცხადს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის კვალიფიკაციის გაგრძელების თაობაზე, იმ პერიოდში, როდესაც კვალიფიკაცია ჯერ კიდევ ძალაშია.

განაცხადის მიღების შემდეგ, სააგენტო უზრუნველყოფს კანდიდატის დაბარებას გაცნობითი ხასიათის ინსტრუქტაჟზე. ინსტრუქტაჟისა და შემდგომი შეფასების ორგანიზება ხორციელდება წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სადაც განისაზღვრება შემოწმების პასუხისმგებელი პირი – ეს შეიძლება იყოს უშუალოდ სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი ან მის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი.

ინსტრუქტაჟის მიზანია კანდიდატის ინფორმირება არსებული მოთხოვნების, პროცედურების, შეფასების მეთოდოლოგიისა და ობიექტურობის პრინციპების შესახებ, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია შემდგომი შემოწმების სისწორეებისა და სტანდარტების დასაცავად.

გამომცდელის კვალიფიკაცია/ოსტატობა მოქმედია 3 წლის განმავლობაში, იმ შემთხვევაში თუ მისმა მფლობელმა გაირა სწავლება სააგენტოს მიერ შეთანხმებული პროგრამით, რომელიც მოიცავს თეორიულ სწავლებასა და საწაფზე წვრთნას. აღნიშნული სწავლება შეიძლება ჩატარდეს სააგენტოს მიერ აღიარებულ სხვა სახელმწიფო საავიაციო ხელისუფლების მიერ სერტიფიცირებულ სდ-ში.

სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი ან უფლებამოსილი გამომცდელი კანდიდატს ზედამხედველობას უწევს ამ პროცედურის მე-11 და მე-12 თავების შესაბამისად.

სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, საფრენოსნო ინსპექტორს შეუძლია ნებისმიერ დროს არაგეგმიურად ჩაატაროს ამ სახელმძღვანელოთი განსაზღვრული ყველა სახის შეფასება/შემოწმება. შემოწმების ჩატარების



|                                                                                   |                                                 |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                 | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | პროცედურა (უფლებამოსილების მინიჭების პოლიტიკა)  | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                 | გვერდი    | 13/80      |

საფუძველი შეიძლება გახდეს მფრინავის შეტყობინება TRE/SFE-ს და CPI-ს არასათანადო ქმედებებზე, კომუნიკაციაზე, მიკერძოებულ გადაწყვეტილებებზე, ასევე თუ TRE/SFE/CPI-ის დიდი ხნის განმავლობაში არ გაუხორციელებია თავისი უფლებამოსილება.

სააგენტო, წინასწარ განსაზღვრული პროცედურის დაცვით, განიხილავს და შემდეგ ნიშნავს ექსპლუატანტების მიერ უფროს პილოტ-ინსტრუქტორად დასახელებულ კვალიფიციურ მფრინავ-ინსტრუქტორებს, ამავე პროცედურის 12.2 (სააგენტოს ვალდებულებები) და 13.3 (ადმინისტრაციული პროცედურები) პუნქტების მიხედვით.

უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი, რომელიც ახორციელებს შეფასებას საჰაერო ხომალდზე, უნდა ფლობდეს მოქმედ საფრენოსნო მოწმობას და შესაბამისი ოსტატობის აღნიშვნას; ხოლო უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი, რომელსაც არ გააჩნია მოქმედი მოწმობა, მაგრამ ფლობდა შესაბამისი ოსტატობას, უფლებამოსილია განახორციელოს შეფასება მხოლოდ საწაფზე.

სააგენტოს მიერ დანიშნული უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის(გამომცდელის) უფლებამოსილება დასტურდება ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტებით:

- სააგენტოს დირექტორის ბრძანება - უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის(გამომცდელის) უფლებამოსილების მინიჭების ან უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ;
- გამომცდელის ავტორიზაციის წერილი- ხელს აწერს სააგენტოს დირექტორი.
- პილოტის მოწმობა, იმ შემთხვევაში თუ გამომცდელი ფლობს მოქმედ პილოტის მოწმობას, შესაბამისი ტიპის ან კლასის მიხედვით.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაცემული პილოტის მოწმობის მფლობელს უფლება აქვს გაიაროს უნარების/საკვალიფიკაციო შემოწმება იმ გამომცდელთან, რომელიც ფლობს სხვა სახელმწიფოს მიერ მინიჭებულ შესაბამისი უფლებამოსილებას. სხვა სახელმწიფოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი აღიარებისათვის, სხვა სახელმწიფოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი (გამომცდელი) მიმართავს სააგენტოს „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესის“ №8 დანართის შესაბამისად, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [flightstandards@gcaa.ge](mailto:flightstandards@gcaa.ge).

სააგენტოს უფროსი პილოტ ინსტრუქტორი და ფრენის სტანდარტების სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტი სპეციალისტან(PEL) განიხილავენ #8 დანართით წარმოდგენილ ინფორმაციას; დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ფრენის სტანდარტების სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის სპეციალისტი (PEL) ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აცნობებს გადაწყვეტილებას უფლებამოსილების განხორციელების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ მფრინავი გადის შემოწმებას სააგენტოს აღიარებულ სდ-ს ფარგლებში და გამომცდელი მოქმედებს ორგანიზაციის სახელით არ საჭიროებს ზემოხსენებულ მიმართვას (დანართი 8).

სააგენტოს აქვს უფლება გააუქმოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორს უფლებამოსილება გაუქმების მიზეზის განმარტებით, ამავე პროცედურის 12.3 (ადმინისტრაციული პროცედურები) ქვეთავის მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ დადასტურდა, რომ კანდიდატს წარსულში შეწყვეტილი აქვს აღნიშნული სტატუსი და ამის მიზეზი შეესაბამება კვალიფიკაციის გაუქმების საფუძვლებს (მაგ.ინტერესთა კონფლიქტი), უფლებამოსილების მინიჭება/გაგრძელება ხელმეორედ არ განხორციელდება.

|                                                                                   |                                                       |                  |                   |
|-----------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------|------------------|-------------------|
|  | <b>დანიშნული საფეროსნო გამომცდელის სახელმძღვანელო</b> | <b>№</b>         | <b>FSD 03-3</b>   |
|                                                                                   |                                                       | <b>თარიღი</b>    | <b>26.08.2025</b> |
|                                                                                   | <b>პროცედურა (უფლებამოსილების მინიჭების პოლიტიკა)</b> | <b>ვერსიის N</b> | <b>0.1</b>        |
|                                                                                   |                                                       | <b>გვერდი</b>    | <b>14/80</b>      |

უფლებამოსილების მინიჭების განცხადის განხილვის ეტაპზე, სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი და პერსონალის ლიცენზირების „PEL“ სპეციალისტი ამოწმებენ გაუქმებული კვალიფიკაციის უფროსი პილოტ-ინსტრუქტორების ბაზას და თუ ბაზაში არ იძებნება აღნიშნული კანდიდატი, პროცესი გადადის განხილვის შემდგომ ეტაპზე.

უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის ოსტატობის სააგენტოს მიერ გაუქმების შემთხვევაში, განმეორებით იმავე პირზე ოსტატობა არ გაცემა.

უფროსი პილოტ-ინსტრუქტორს არ აქვს უფლება ჩაუტაროს უნარების შემოწმება/Skill Test განმცხადებელს, რომელსაც მოწმობის ან ოსტატობის მინიჭებამდე უწევდა მომზადებას, თუ მომზადება აღემატა საერთო მომზადების რაოდენობის 25%.

უფროსი პილოტ-ინსტრუქტორზე მინიჭებული წერილობითი თანხმობა და მოწმობა განსაზღვრავს საჭირო ხომალდების ტიპებს და კლასებს, რომლებზეც მას გააჩნია სწავლების ან შეფასების ჩატარების უფლებამოსილება.

დაუშვებელია საკვალიფიკაციო შემოწმების /Proficiency Check, უნარების შემოწმების/Skill Test განხორციელება კომერციული რეისების შესრულებისას.

სააგენტო განსაზღვრავს იმ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და გამოცდილებას, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორობის კანდიდატი. ამავე პროცედურის მე-11 პუნქტის (უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები) შესაბამისად.

იმისათვის, რომ სააგენტოს განსახილველად წარედგინოს მხოლოდ შესაბამისი გამოცდილებისა და კომპეტენციის მქონე კეთილსინდისიერი პერსონალი და უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის ინსტიტუტმა მოიპოვოს უფრო ფართო აღიარება და ნდობა, კანდიდატების შერჩევის სისტემა უნდა იყოს სამართლიანი და გამჭვირვალე. აუცილებელია, რომ დასახელებული კანდიდატი მფრინავთა საზოგადოებაში სარგებლობდეს პროფესიული ნდობითა და პატივისცემით, განუხრელად იცავდეს ფრენის უსაფრთხოების პრინციპებს და მუდმივად ინარჩუნებდეს შეფასების ჩატარების სათანადო სტანდარტებს.

## 10.1 ინტერესთა კონფლიქტი

ამ პროცედურის მიზნებისათვის ინტერესთა კონფლიქტი ნიშნავს ნებისმიერ გარემოებას ან კავშირს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის მიერ ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაზე, რის შედეგადაც შესაძლებელია ეჭვქვეშ დადგეს საავიაციო უსაფრთხოების მოთხოვნების უზრუნველყოფა.

უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს თავისი უფლებამოსილება, თუ ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს. ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგიერთი სიტუაცია, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორსა და მის მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს შორის ინტერესთა კონფლიქტად:

|                                                                                   |                                                         |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო         | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                         | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | 11. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                         | გვერდი    | 15/80      |

- უფროსი პილოტ-ინსტრუქტორმა ჩაუტარა უნარების შემოწმება/Skill Test განმცხადებელს, რომელსაც მოწმობის ან ოსტატობის მინიჭებამდე უწევდა მომზადებას, თუ მომზადება აღემატა საერთო მომზადების რაოდენობის 25%.
- განმეორებითი შეფასების ჩატარება მფრინავისთვის, რომელმაც წარუმატებლად გაიარა წინა შეფასება იმავე უფროსი პილოტ-ინსტრუქტორთან;
- სხვა გარემოებები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით მიიჩნევა ინტერესთა კონფლიქტად და რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის მიერ ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაზე.

ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენის საფუძველად შეიძლება ჩაითვალოს, უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის მიერ ჩატარებული პრაქტიკული სწავლება (25% ზე მეტი რაოდენობა) და უნარების/საკვალიფიკაციო შემოწმება, განმეორებითი შეფასების ჩატარება მფრინავისთვის, რომელმაც წარუმატებლად გაიარა წინა შეფასება იმავე უფროსი გამომცდელთან. ყოველივე ამის დასტური შეიძლება მოპოვებული იქნას დანართი №4ა, №4ბ და №4გ ით წარმოდგენილი ინფორმაციის მეშვეობით. ასევე შემთხვევა, როდესაც მოხდა შემოწმების ჩატარება, იმ გამომცდელის მიერ რომლისგანაც სააგენტოს უკვე მიღებული ჰქონდა იმავე მფრინავზე შემოწმების არადაამაყოფილებელი შედეგების შეტყობინების ფორმა, რომელიც წარმოდგენილია ამავე პროცედურის მე-7 დანართით.

იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდა ინტერესთა კონფლიქტი, განმცხადებელს ეგზავნება წერილი გამოვლენილი კონფლიქტის შესახებ. აღნიშნულის შეფასებას ახდენს PEL სპეციალისტი და სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას შეფასების არ ჩათვლის შესახებ იღებს სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩატარებული შემოწმება იქნება ძალადაკარგული.

## 11. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი, რომელიც ახორციელებს პილოტის და პილოტ-კურსანტის მომზადებას ან/და შემოწმებას საჰაერო ხომალდზე, უნდა ფლობდეს პილოტის მოქმედ მოწმობას, მოქმედ სამედიცინო სერტიფიკატს და უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის მოქმედ ოსტატობას შესაბამისი საჰაერო ხომალდის კლასზე ან ტიპზე.

უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი თვითმფრინავის კლასზე შესაძლებელია გახდეს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი თვითმფრინავის სხვა კლასზე, თუ მას ამ კლასის თვითმფრინავზე პილოტ-ინსტრუქტორის რანგში შესრულებული ექნება 20 საათი, ხოლო რაც შეეხება საჰაერო ხომალდის ტიპს, მან უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნები, რომლებიც გულისხმობს, მოქმედ ოსტატობას და ინსტრუქტორის რანგში ნაფრენ 50 საათს, დამკვირვებლის რანგში მონაწილეობის მიღებას მინიმუმ ორ შეფასებაში რომელსაც, განახორციელებს მოქმედი უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი (TRE/SFE, CPI), წარმატებით ჰქონდეს გავლილი შეფასება უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის რანგში, რომელსაც ჩაატარებს სააგენტოს პილოტ-ინსტრუქტორი ან სააგენტოს მიერ უფლებამოსილი გამომცდელი ამავე პროცედურის დანართი FSD 05-11 ის მეშვეობით.

სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების პილოტ-ინსტრუქტორი სხ-ის კონკრეტულ ტიპზე გადასწავლებისას შეიძლება გახდეს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი ამ ტიპზე ნაფრენის გარეშე, თუ მას ამ სახეობის სხ-ის ნებისმიერ ტიპზე აქვს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის

|                                                                                   |                                                         |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო         | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                         | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | 11. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                         | გვერდი    | 16/80      |

ოსტატობის აღნიშვნა და მეთაურად მწყობრში შესვლისას გაივლის დამატებით მომზადებას ინსტრუქტორის სავარძლიდან.

უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი უფლებამოსილია განახორციელოს უნარების შემოწმება, საკვალიფიკაციო და სახელსაწყო ფრენის ოსტატობის შემოწმება, მარცხენა და მარჯვენა სავარძლიდან ფრენის შემოწმება, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ პილოტების საფრენად დაშვება, პილოტებისთვის სპეციფიკური შემოწმების ჩატარება, საჰაერო ხომადების საწაფზე წვრთნის და შემოწმების ჩატარება, თუ მას აქვს საწაფზე დაშვება, საწაფის შესაბამისობის შეფასება დადგენილი ამოცანების შესასრულებლად, კურსანტების საფრენოსნო მომზადება, დამოუკიდებელი ფრენის კონტროლი, პილოტ-ინსტრუქტორისა და უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის საფრენოსნო მომზადება/შემოწმება.

უფროსი პილოტ-ინსტრუქტორობის კვალიფიკაციის მინიჭება ხორციელდება FSD 05-20 საკონტროლო ბარათის მეშვეობით.

### 11.1. მოქმედი უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის კვალიფიკაციის შენარჩუნების მოთხოვნები და ვალდებულებები

მოქმედმა უფროსმა პილოტ-ინსტრუქტორმა კვალიფიკაციის შესანარჩუნებლად უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

- უფროსი პილოტ-ინსტრუქტორს მოწმობით უნდა გააჩნდეს მოქმედი ოსტატობის დამადასტურებელი აღნიშვნა და დაშვება სახელსაწყო ფრენებზე (მოთხოვნიდან გამომდინარე).
- მოქმედმა უფროსმა პილოტ-ინსტრუქტორმა:
  - ოსტატობის ვადის ამოწურვამდე უნდა გაიაროს განმეორებითი გაცნობითი ხასიათის ინსტრუქტაჟი სააგენტოში;
  - ოსტატობის ვადის ყოველი 12 თვის პერიოდში ჩატარებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 2 შემოწმება.
  - უფროსმა პილოტ-ინსტრუქტორმა სამ წელიწადში ერთხელ უნდა ჩაატაროს ოსტატობის დამადასტურებელი შეფასება საწაფზე ან საჰაერო ხომალდზე სააგენტოს ინსპექტორის ზედამხედველობით. სააგენტოს საიტზე გამოქვეყნებული უფროსი პილოტ-ინსტრუქტორების სიის მეშვეობით, სააგენტოს ინსპექტორი ახორციელებს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორების ოსტატობის დამადასტურებელი 3 წლიანი ვადების მონიტორინგს.

უფროსი პილოტ ინსტრუქტორი ვალდებულია:

- შეამოწმოს პილოტები „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესის“ მოთხოვნების და შესაბამისი დანართების შესაბამისად.
- აწარმოოს მის მიერ ჩატარებული შემოწმებების აღრიცხვა ამ სახელმძღვანელოს დანართი 6-ის ფორმით.
- პილოტის მიერ უნარების ან საკვალიფიკაციო შემოწმების ვერ გავლის შემთხვევაში გამოაგზავნოს ჩაჭრის ანგარიში ამ სახელმძღვანელოს დანართი 7-ის შესაბამისად შემდეგ ელექტრონულ მისამართზე [examiner@gcaa.ge](mailto:examiner@gcaa.ge).



|                                                                                   |                                                                                    |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------|-----------|------------|
|  | <b>დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო</b>                             | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                                                    | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | <b>12. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის განაცხადის მიღება და უფლებამოსილების მინიჭება</b> | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                                                    | გვერდი    | 17/80      |

- შეამოწმოს სხვა უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი ამ სახელმძღვანელოს კითხვარი FSD 05-11 ის შესაბამისად.

## 12. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის განაცხადის მიღება და უფლებამოსილების მინიჭება

### 12.1 ექსპლუატანტის ვალდებულებები

საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტმა უფროსი პილოტ-ინსტრუქტორობის კანდიდატი უნდა წარუდგინოს სააგენტოს შესაბამისი წერილობითი მიმართვით, რომელსაც თან უნდა დაერთოს განცხადება და სსიპ-სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №150-ით გათვალისწინებული დოკუმენტები. სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსპექტორი და პერსონალის ლიცენზირების „PEL“ სპეციალისტი წარმოდგენილი დოკუმენტაციის №150-ე ბრძანებასთან შესაბამისობას ამოწმებენ ამავე პროცედურის საკონტროლო ბარათების მეშვეობით. საკონტროლო ბარათები წარმოდგენილია შემდეგი მიზნობრიობითა და დასახელებით:

- FSD 05-19 საწაფის უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის SFE უფლებამოსილების მინიჭებისთვის წარმოდგენილი საჭირო საბუთების შემოწმების.
- FSD 05-20 უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მინიჭების კითხვარი
- FSD 05-23 საწაფის პილოტ ინსტრუქტორის კვალიფიკაციის გაგრძელების კითხვარი
- FSD 05-25 უფროსი პილოტ ინსტრუქტორის კვალიფიკაციის გაგრძელების კითხვარი

### 12.2. სააგენტოს ვალდებულებები

სააგენტოში რეგისტრირებულ, უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის კანდიდატის წარდგენის მიმართვის განხილვას სააგენტოს დირექტორი ავალებს ფრენის სტანდარტების, სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსს.

დეპარტამენტის უფროსი აღნიშნულ მიმართვის განხილვას საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით (e-doc) ავალებს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსპექტორს და პერსონალის ლიცენზირების „PEL“ სპეციალისტს). სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსპექტორი და პერსონალის ლიცენზირების „PEL“ სპეციალისტი მიმართვის მიღებიდან 3 დღის ვადაში ერთობლივად ამოწმებენ წარმოდგენილ დოკუმენტაციას პირველადი მინიჭების შემთხვევაში ამავე პროცედურის FSD 05-20 საკონტროლო ბარათის მეშვეობით, იმ შემთხვევაში თუ განცხადება ეხება უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის კვალიფიკაციის გაგრძელებას - FSD 05-25 კითხვარის მეშვეობით. საწაფის უფროსი პილოტ ინსტრუქტორის მინიჭების შემთხვევაში FSD 05-19 საკონტროლო ბარათის მეშვეობით, ხოლო გაგრძელების შემთხვევაში - FSD 05-23 კითხვარის გამოყენებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტაცია არასრულად არის წარმოდგენილი, პერსონალის ლიცენზირების „PEL“ სპეციალისტი გასაგზავნად ამზადებს ხარვეზის წერილს. რომელიც გულისხმობს არანაკლებ 5 სამუშაო დღეში დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენას. ეს ვადა შეიძლება იყოს გაგრძელებული ექსპლუატანტის მოთხოვნით, მხოლოდ ერთხელ არაუმეტეს 15 დღის ვადით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, კერძოდ 83-ე მუხლის

|                                                                                   |                                                                                    |                  |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------|------------------|------------|
|  | <b>დანიშნული საფეროსნო გამომცდელის სახელმძღვანელო</b>                              | <b>№</b>         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                                                    | <b>თარიღი</b>    | 26.08.2025 |
|                                                                                   | <b>12. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის განაცხადის მიღება და უფლებამოსილების მინიჭება</b> | <b>ვერსიის N</b> | 0.1        |
|                                                                                   |                                                                                    | <b>გვერდი</b>    | 18/80      |

მიხედვით. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, სააგენტო მიიღებს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რის შესახებაც წერილობით ეცნობება ექსპლუატანტს. დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის დროს ნაკლოვანებების გამოსწორების შემდეგ, ან იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტაცია აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, ავიასპეციალისტების სერტიფიცირების სპეციალისტი ამზადებს წერილს გამომცდელის ან გამომცდლობის მამიებლის ინსტრუქტაჟზე დაბარების თაობაზე, სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორთან შეთანხმებული ვადის მითითებით და უგზავნის ექსპლუატანტს. ინსტრუქტაჟს ახორციელებს სააგენტოს უფროსი-პილოტ ინსტრუქტორი და ავსებს გაცნობითი ხასიათის ინსტრუქტაჟის ფორმას - FSD 06-4.

თუ კანდიდატის ფაქტობრივი შემოწმება უნდა ჩატარდეს სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსპექტორის მიერ, ინსტრუქტაჟის შემდეგ, სხ-ს ექსპლუატანტი წარადგენს წერილობით მოთხოვნას სააგენტოში, გამომცდელის კანდიდატის ფაქტობრივი შემოწმების ჩატარების თაობაზე. წერილში მითითებული უნდა იყოს სააგენტოსთან შესათანხმებლად ინსპექტირების კონკრეტული თარიღი. აღნიშნული მოთხოვნის საფუძველზე ფრენის სტანდარტების სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი ამზადებს მოხსენებით ბარათს დირექტორის სახელზე სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსპექტორის მივლინებასთან დაკავშირებით და ამის შემდეგ გამოიცემა სააგენტოს დირექტორის ბრძანება მივლინების თაობაზე.

უფროსი პილოტ ინსტრუქტორის ან უფროსი პილოტ-ინსტრუქტორობის კანდიდატის ფაქტობრივი შემოწმება ხორციელდება (FSD 05-11) გამომცდელის კომპეტენციის შეფასების ფორმის მეშვეობით.

იმ შემთხვევაში, როდესაც უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის ან მისი კანდიდატობის მამიებლის შემოწმებას განახორციელებს სააგენტოს მიერ უფლებამოსილი უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი, აღნიშნული უნდა იყოს შეთანხმებული სააგენტოს პილოტ-ინსპექტორთან ინსტრუქტაჟის დროს. ამ შემთხვევაში სხ-ის ექსპლუატანტის მიერ სააგენტოსთვის წერილობით მიმართვა არ არის საჭირო.

სააგენტოს უფლება აქვს არ მიანიჭოს კანდიდატს და არ გაუგრძელოს მოქმედ უფროსი პილოტ-ინსტრუქტორს უფლებამოსილება, თუ იგი ვერ აკმაყოფილებს ყველა განსაზღვრულ მოთხოვნას. აღნიშნული შესახებ გადაწყვეტილების წერილობითი დასაბუთება უნდა გაეგზავნოს სხ-ს ექსპლუატანტს. აღნიშნული დასაბუთება აგრეთვე ინახება გამომცდელის პირად საქმეში. გამომცდელის პირადი საქმეები ინახება ფრენის სტანდარტების ინსპექტირებისა და სერტიფიცირების დეპარტამენტში, სპეციალურად შექმნილ ბაინდერში სააგენტოს უფროსი პილოტ- ინსტრუქტორის მიერ.

### 12.3. ადმინისტრაციული პროცედურები

იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი აკმაყოფილებს მოთხოვნებს, შესაბამისი გაცნობითი ხასიათის ინსტრუქტაჟისა და სააგენტოს ინსპექტორთან ან უფლებამოსილი გამომცდელის წარმატებით გავლილი შეფასებისა და დასკვნის შემდეგ, ფრენის სტანდარტების, სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი მოხსენებით ბარათით ატყობინებს სააგენტოს დირექტორს კანდიდატისთვის უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე, ხოლო მოქმედი პილოტ-ინსტრუქტორის შემთხვევაში

|                                                                                   |                                                                             |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო                             | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                                             | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | 12. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის განაცხადის მიღება და უფლებამოსილების მინიჭება | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                                             | გვერდი    | 19/80      |

- კვალიფიკაციის ვადის გაგრძელების თაობაზე; პერსონალის ლიცენზირების „PEL“ სპეციალისტი ამზადებს ბრძანებას კვალიფიკაციის მინიჭება/გაგრძელებასთან დაკავშირებით და ტვირთავს ელექტრონულ საქმისწარმოების პროგრამაში (e-doc), და მონაწილეობს ვიზირების პროცესში. ბრძანებას აგრეთვე ავიზებს სამართალშემოქმედების, საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროკავშირის რეგულაციების დანერგვის დეპარტამენტის უფროსი, სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი და ფრენის სტანდარტების, სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი. ამის შემდეგ სააგენტოს დირექტორი გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ აქტს, რომლის შემდეგ, პერსონალის ლიცენზირების სპეციალისტი ამზადებს ავტორიზაციის წერილს და შეაქვს შესაბამისი კვალიფიკაცია მოქმედი პილოტის მოწმობაში (მისი ფლობის შემთხვევაში). ელექტრონული საქმის წარმოების პროგრამის მეშვეობით განმცხადებელს უგზავნის ბრძანების ასლს, ავტორიზაციის წერილს და პილოტის მოწმობას და მათ ორიგინალებს აბარებს კანცელარიაში დაინტერესებული მხარისთვის შემდგომში გადასაცემად.

სააგენტოს ინსპექტორის ან უფლებამოსილი გამომცდელის დასკვნა, რომელიც იწერება FSD 05-11 გამომცდელის კომპეტენციის შეფასების ფორმაში, ბრძანებისა და დასტურის წერილის ასლები აგრეთვე ინახება უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის შესაბამის პირად საქმეში ფრენის სტანდარტების, სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტში.

სააგენტოს უფლება აქვს შეაჩეროს ან გააუქმოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის კვალიფიკაცია. კვალიფიკაციის შეჩერების ან გაუქმების დროს ტარდება სასერტიფიკაციო კომისიის სხდომა, რომელსაც ხელმძღვანელობს სააგენტოს დირექტორი და ესწრება ფრენის სტანდარტების სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი და ამავე დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი, პერსონალის ლიცენზირების სპეციალისტი „PEL“ და სამართალშემოქმედების, საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროკავშირის რეგულაციების დანერგვის დეპარტამენტის უფროსი. სხდომაზე განხილული საკითხების მიხედვით დგინდება კრების ოქმი, რომელსაც შეადგენს ფრენის სტანდარტების სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის PEL სპეციალისტი. კრების ოქმის საფუძველზე ფრენის სტანდარტების დეპარტამენტის უფროსი ამზადებს მოხსენებით ბარათს დირექტორის სახელზე, რომელშიც მითითებულია შეჩერება/გაუქმების მიზეზები, რის შემდეგაც პერსონალის ლიცენზირების PEL სპეციალისტი ამზადებს ბრძანების პროექტს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის უფლებამოსილების შეჩერება/გაუქმების თაობაზე და ტვირთავს e-doc-ში, ვიზირების პროცესში რთავს კომისიის მონაწილე პირებს. ბრძანებას ხელს აწერს სააგენტოს დირექტორი. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორისთვის უფლებამოსილების შეჩერება/გაუქმების ბრძანება ელექტრონულად ეგზავნება უფროსი პილოტ-ინსტრუქტორს და მის დამსაქმებელ ექსპლუატანტს.

სააგენტოს უფლება აქვს შეაჩეროს ან გააუქმოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის უფლებამოსილება, თუ არსებობს ობიექტური სამხილები, რომ მან:

- პილოტის შემოწმების პროცესში ვერ უზრუნველყო შემოწმების აუცილებელი სტანდარტების, პროცედურების ან ინსტრუქციების დაცვა;
- ბოროტად გამოიყენა უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის უფლებამოსილება;

|                                                                                   |                                                                             |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო                             | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                                             | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | 12. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის განაცხადის მიღება და უფლებამოსილების მინიჭება | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                                             | გვერდი    | 20/80      |

- დაარღვია საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნები;
- წარუმატებლად გაიარა ნებისმიერი შემოწმება ან ოსტატობის დამადასტურებელი შეფასება;
- სხ-ის ექსპლუატანტმა სააგენტოს წარუდგინა დასაბუთებული მოთხოვნა უფროსი პილოტ-ინსტრუქტორისათვის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე;
- საჰაერო ხომალდის მეთაურის ან უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის ფუნქციის შესრულებისას მოუვიდა საავიაციო შემთხვევა ან ინციდენტი და გამოკვლევის შედეგად დადგინდა მისი პასუხისმგებლობა.
- იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება, რომ ადგილი ჰქონდა უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის მხრიდან ზემოთ აღწერილ რომელიმე ქმედებას, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ფრენის სტანდარტების ინსპექტირებისა და სერტიფიცირების დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:
- განიხილოს სააგენტოს მიერ უფლებამოსილი უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის წერილობითი დეტალური ანგარიში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით;
- მისცეს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორს და საჭიროების შემთხვევაში, მის დამსაქმებელ ექსპლუატანტს წერილობით ან სიტყვიერად დარღვევებზე ოფიციალური პასუხის გაცემის საშუალება.

დისციპლინური ქმედება დამოკიდებულია ინდივიდუალურ შემთხვევებზე. სააგენტო გადაწყვეტს რა სახის ზომა მიიღოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის არასწორ ქმედებაზე, ეს იქნება დამატებითი სწავლება, შემოწმება, გასაუბრება თუ ოფიციალური გაფრთხილება. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის დაშვება უნდა შეჩერდეს სანამ არ დასრულდება ზემოთ აღნიშნული ქმედებ(ებ)ა. PEL სპეციალისტი, სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორთან კოორდინაციით, უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის ოსტატობის შეჩერების ან გაუქმების შესახებ წერილობით აცნობებს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორს და მის დამსაქმებელ ავიასაწარმოს.

## 12.4. კანდიდატის მიერ ჩატარებული ოსტატობის დამადასტურებელი შეფასების ზედამხედველობა

### 12.4.1. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის შემოწმების მოსამზადებელი პროცედურა

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ინსპექტორმა შერჩეულ კანდიდატს უნდა ჩაუტაროს გაცნობითი ხასიათის ინსტრუქტაჟი, სადაც იგი კანდიდატს გააცნობს საფრენოსნო ინსპექტორის სახელმძღვანელოსა და შესაბამის პროცედურებს. გარდა ამისა, აუხსნის სააგენტოს მიერ უფროსი პილოტ-ინსტრუქტორისთვის გადაცემული უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას და ვალდებულებებს სააგენტოს წინაშე;



|                                                                                   |                                                                             |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო                             | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                                             | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | 12. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის განაცხადის მიღება და უფლებამოსილების მინიჭება | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                                             | გვერდი    | 21/80      |

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ინსპექტორმა განმცხადებელს უნდა შეატყობინოს საფრენოსნო შემოწმების სპეციალური მოთხოვნები.

სააგენტოს საფრენოსნო ინსპექტორი განმცხადებელს და მის დამსაქმებელ კომპანიას უთანხმებს საფრენოსნო შემოწმების ადგილს, დროს, თარიღს და საჭიროების შემთხვევაში, შემოწმების ადგილზე გამოცხადების დროს.

#### 12.4.2. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის შემოწმებისთვის გამოყენებული საჰაერო ხომალდის/ საწაფის მიმართ წაყენებული მოთხოვნები

კანდიდატის წარმდგენი ავიასაწარმო ვალდებულია უზრუნველყოს მისი კომპეტენციის შესაფასებლად აუცილებელი დრო, დამხმარე საშუალებები, აღჭურვილობა, რესურსები და პერსონალი.

საფრენოსნო ეკიპაჟის წევრთა განლაგება სააგენტოს საფრენოსნო ინსპექტორს ან სააგენტოს მიერ დანიშნულ უფროს პილოტ-ინსტრუქტორს უნდა აძლევდეს ადეკვატური ხედვის საშუალებას მართვის სახელსაწყო დაფაზე, რათა შესაბამისად შეაფასოს კანდიდატის მოქმედებები და მუდმივად ადევნებდეს თვალ-ყურს შეფასების მსვლელობას.

სააგენტოს ინსპექტორის ან სააგენტოს მიერ დანიშნული უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის პოზიცია უნდა იძლეოდეს ადეკვატურ ხედვას კანდიდატის მიერ გამოსაცდელი მფრინავის პოზიციასა და ქმედებებზე, რათა სათანადოდ შეაფასოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის გამოსაცდელი მფრინავის მოქმედებები.

იმ შემთხვევაში, თუ ინსპექტორის პოზიცია გამოცდისას ვერ აკმაყოფილებს ზემოთ აღწერილ მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, რომ სხვა შესაბამისი საექსპლუატაციო წესები დაცულია, საჰაერო ხომალდი ჩაითვლება საფრენოსნო შემოწმებაზე დაკვირვებისათვის შეუსაბამოდ.

საჰაერო ხომალდი ან აღიარებული საწაფი აღჭურვილი უნდა იყოს დამატებითი კომუნიკაციის საშუალებებით უფროსი პილოტი-ინსტრუქტორის კანდიდატისა და სააგენტოს ინსპექტორისათვის, ეკიპაჟსა და ATS-ს შორის კომუნიკაციაზე დასაკვირვებლად.

თუ ფრენები ხორციელდება სახელსაწყო ფრენის წესებით, ექსპლუატანტმა უნდა უზრუნველყოს იმის დემონსტრირება რომ პილოტი იცავს ამ წესებით ფრენის ნორმებს. შემოწმება შეიძლება ჩატარდეს ექსპლუატანტის მიერ დანიშნული უფროსი პილოტ-ინსპექტორის/ინსტრუქტორის მიერ ან სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უფროსი გამომცდელის მიერ. ასეთი სახის შემოწმება ტარდება წელიწადში ორჯერ, რომელთა შორის დაშორება არ უნდა იყოს 4 თვეზე ნაკლები.

იმ შემთხვევაში თუ ოპერატორი/ექსპლუატანტი მოითხოვს სააგენტოს უფროს პილოტ ინსტრუქტორს პილოტის შემოწმებისათვის, მიმართავს სააგენტოს განცხადებით იმავე



|                                                                                   |                                                                                    |                  |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------|------------------|------------|
|  | <b>დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო</b>                             | <b>№</b>         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                                                    | <b>თარიღი</b>    | 26.08.2025 |
|                                                                                   | <b>12. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის განაცხადის მიღება და უფლებამოსილების მინიჭება</b> | <b>ვერსიის N</b> | 0.1        |
|                                                                                   |                                                                                    | <b>გვერდი</b>    | 22/80      |

მეთოდით, როგორც ნახსენებია ამავე პროცედურის 12.2 (სააგენტოს ვალდებულებები) ქვეთავში. განმცხადებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ საფრენოსნო შემოწმებისთვის გამოყენებული საჰაერო ხომალდი ან აღიარებული საწაფი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- უზრუნველყოფილია საფრენოსნო შეფასების ეფექტური და შედეგიანი წარმართვისთვის აუცილებელი საშუალებებით;
- შესაბამება საგამოცდო საჰაერო ხომალდისთვის/საწაფისთვის წინამდებარე სახელმძღვანელოში განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- საწაფი აღიარებულია ვარგისად საფრენოსნო გამოცდისათვის საჭირო მანევრების, პროცედურებისა და ეკიპაჟის ფუნქციებისათვის;
- საფრენოსნო შემოწმების დროს საწაფი ინარჩუნებს აღიარებისთვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობას ან საჰაერო ხომალდი ტექნიკურად გამართულია.

#### 12.4.3. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის შეფასება

საფრენოსნო გამოცდის წარმართვა ორპილოტიანი საჰაერო ხომალდი/საწაფი 2 დამკვირვებლის პოზიციით.

ორპილოტიან საჰაერო ხომალდში ან საწაფში, რომელსაც გააჩნია შემოწმებაზე დაკვირვებისათვის შესაბამისი ორი პოზიცია, უფროსი პილოტ-ინსტრუქტორობის კანდიდატს უფლება აქვს დაიკავოს დამკვირვებლისათვის მოსახერხებელი პოზიცია, სააგენტოს ინსპექტორი მისთვის ხელსაყრელი პოზიციიდან დააკვირდება კანდიდატის მიერ საფრენოსნო შემოწმების ჩატარების/წარმოების პროცესს. საჰაერო ხომალდის შემთხვევაში ოპერატორმა უფროსი პილოტ-ინსტრუქტორობის კანდიდატი და სამოქალაქო ავიაციის ინსპექტორი საფრენოსნო დავალებაში უნდა მიუთითოს ეკიპაჟის წევრებად.

#### ორპილოტიანი საჰაერო ხომალდი დამკვირვებლის პოზიციის გარეშე

იმ შემთხვევაში, თუ ორპილოტიანი საჰაერო ხომალდი არ იძლევა დამკვირვებლისთვის შესაბამის პოზიციას შემოწმების ობიექტის კომპეტენციის შესაფასებლად, უფროსი პილოტ-ინსტრუქტორობის კანდიდატმა უნდა მოახდინოს ხომალდის მეთაურის ფუნქციების შესრულების დემონსტრირება და ამავე დროს, დაიცვას საფრენოსნო შემოწმების პროგრამის მოთხოვნები. სააგენტოს ინსპექტორი ექსპლუატანტის მიერ უნდა იქნას დაშვებული საფრენოსნო ეკიპაჟის წევრად.

ასეთ შემთხვევაში სააგენტოს ინსპექტორმა უნდა იმოქმედოს როგორც კომპეტენტურმა მფრინავმა და მითითებების გარეშე უნდა დააკვირდეს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორობის კანდიდატის მიერ კომპეტენციის დემონსტრირებას საფრენოსნო გამოცდის პროგრამის ფარგლებში.

#### ერთპილოტიანი სერტიფიცირებული საჰაერო ხომალდი

|                                                                                   |                                                                                    |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------|-----------|------------|
|  | <b>დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო</b>                             | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                                                    | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | <b>12. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის განაცხადის მიღება და უფლებამოსილების მინიჭება</b> | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                                                    | გვერდი    | 23/80      |

საპაერო ხომალდში, რომელიც სერტიფიცირებულია ერთი მფრინავის მიერ სამართავად, უფროსი პილოტ-ინსტრუქტორობის კანდიდატს მოეთხოვება მოახდინოს საკუთარი კომპეტენციის დემონსტრირება უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის უფლებამოსილებებისათვის განსაზღვრული საფრენოსნო შემოწმების პროგრამის შესაბამისად. სააგენტოს ინსპექტორი ოპერატორის მიერ უნდა იქნას დაშვებული ეკიპაჟის წევრად. სააგენტოს ინსპექტორს შეუძლია დააკვირდეს კანდიდატის მიერ კომპეტენციის დემონსტრირებას წინამდებარე ინსტრუქციების შესაბამისად.

კომპეტენციის დემონსტრირება გულისხმობს უფრო მეტს, ვიდრე ინსპექტორის მხრიდან კანდიდატის მიერ შესამოწმებელი პირის მოქმედებების შეფასებაზე დაკვირვებაა. ეს არის შეფასება იმისა, რომ კანდიდატი საკმარისად კომპეტენტური და გამოცდილია იმისათვის, რომ მიენიჭოს ასეთი მნიშვნელოვანი უფლებამოსილება.

შესაძლებლობის შემთხვევაში, კანდიდატის შემოწმება ჩატარდება საპაერო ხომალდზე ან აღიარებულ საწაფზე კანდიდატის მიერ ჩატარებულ საფრენოსნო შემოწმებაზე დაკვირვებისას, ერთიანი და უწყვეტი სესიის სახით.

საფრენოსნო შემოწმების დროს სააგენტოს ინსპექტორს უნდა მიეცეს საკმარისი დრო შემდეგი მოქმედებებისათვის:

- კანდიდატის დოკუმენტაციის განსახილველად;
- კანდიდატისთვის ბრიფინგის ჩასატარებლად;
- კანდიდატის მიერ ჩატარებულ საფრენოსნო შემოწმებაზე დასაკვირვებლად;
- კანდიდატის გამოსაკითხად;
- კანდიდატის ფრენისშემდგომი განხილვის ჩასატარებლად;
- საჭირო დოკუმენტაციის შესავსებად.

უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის მიერ კომპეტენციის დემონსტრირების ხანგრძლივობა შეიძლება განსხვავდებოდეს, თუმცა, ზოგადად, კომპეტენციის დემონსტრირებისთვის საჭირო დროის მონაკვეთი შეიძლება განისაზღვროს ოთხი საათით. პირველი და მეორე პუნქტების შემოწმებას დასჭირდება დაახლოებით 30 წუთი, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე პუნქტებს - 30-40 წუთი.

უფროსი პილოტ-ინსტრუქტორობის კანდიდატი პასუხისმგებელია შესაფასებელი მრფინავის საფრენოსნო შემოწმების წარმართვაზე. შესაფასებელ პირს და უფროს პილოტ-ინსტრუქტორს უნდა მიეცეთ ადეკვატური დრო მოსამზადებლად.

უფროსი პილოტ-ინსტრუქტორობის კანდიდატის მიერ საფრენოსნო შემოწმების წარმართვის კომპეტენციის დემონსტრირების მიზანია:

პრაქტიკული დემონსტრაციის გზით განისაზღვროს, კანდიდატის კომპეტენცია და საფრენოსნო შეფასების წარმართვის უნარი და კანდიდატის მიერ უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა.

შემოწმებისას გამოყენებულ უნდა იქნას ამ სახელმძღვანელოს კითხვარი FSD 05-11.

|                                                                                   |                                                                             |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო                             | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                                             | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | 12. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის განაცხადის მიღება და უფლებამოსილების მინიჭება | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                                             | გვერდი    | 24/80      |

შენიშვნა: საწაფის არარსებობის შემთხვევაში, სხ-ის საწაფი შესაძლებელია ჩანაცვლდეს გარკვეული სავარჯიშოებისთვის საჭირო ხომალდით.

იმ შემთხვევაში, თუ უფროსი პილოტ-ინსტრუქტორობის კანდიდატი ვერ აკმაყოფილებს საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან ვერ ამჟღავნებს კომპეტენციის დამაკმაყოფილებელ დონეს, სააგენტომ ამის შესახებ უნდა აცნობოს კანდიდატის დამსაქმებელ ავიასაწარმოს.

#### 12.4.4. სააგენტოს ინსპექტორის პასუხისმგებლობა

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ინსპექტორი შემოწმების დაწყებამდე უნდა გაესაუბროს კანდიდატს და დარწმუნდეს, რომ მას მკაფიოდ ესმის:

- საფრენოსნო შემოწმების პროგრამა;
- სააგენტოს ინსპექტორის, როგორც ნეიტრალური მეორე მფრინავის ან დამკვირვებლის როლი უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის მიერ წარმოებულ საფრენოსნო შეფასებაში;
- საფრენოსნო შეფასების ფორმატი და მოვლენათა სავარაუდო თანმიმდევრობა;
- შეფასების კრიტერიუმად გამოყენებული სტანდარტები;
- საჭირო ხომალდის მეთაურის, კანდიდატისა და სააგენტოს ინსპექტორის შესაბამისი როლები;
- სიმულირებული ან რეალური ამინდის პირობები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს შეფასების ჩატარება.
- რომ საფრენოსნო გამოცდის დროს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის უფლებამოსილების პირველადი მინიჭებისას განმცხადებელს არ გააჩნია არანაირი პრივილეგია შეფასების წარმატებით დამთავრებამდე და შესაბამისად, გამოსაცდელი მფრინავის საბოლოო შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელებს სააგენტოს ინსპექტორი.
- რომ შეფასების მანძილზე უნდა ინარჩუნებდეს დამკვირვებლის ხელსაყრელ პოზიციას, საჭიროების შემთხვევაში ურჩიოს ხომალდის მეთაურს და/ან იმოქმედოს როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფის მფრინავმა;
- განიხილოს ეკიპაჟის წევრების მიერ შესასრულებელი მოქმედებები მათ მიერ ნებისმიერი მიზეზით პოზიციის დროებითი დატოვებისას, მაგ.: სავარძლის შეცვლა, ხანმოკლე არყოფნა.

#### საფრენოსნო შეფასების შეწყვეტა

სააგენტოს ინსპექტორს უფლება აქვს შეწყვიტოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის მიერ კომპეტენციის დემონსტრირება შემდეგ გარემოებებში:

- კანდიდატი ან ექსპლუატანტი ვერ უზრუნველყოფს შესაბამის საშუალებებს, აღჭურვილობას, პროცედურებს, სწავლებას ან არ შეესაბამება სამოქალაქო ავიაციის წესებს;
- საჭირო ხომალდის ექსპლუატანტი ვერ უზრუნველყოფს ადეკვატურ წვდომას საჭირო ხომალდზე/საწაფზე შეფასების ეფექტურად ჩასატარებლად;

|                                                                                   |                                                                             |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო                             | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                                             | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | 12. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის განაცხადის მიღება და უფლებამოსილების მინიჭება | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                                             | გვერდი    | 25/80      |

- საჰაერო ხომალდს ან საწაფს აქვს მექანიკური ან სისტემური დეფექტი, რომელიც ხელს უშლის შეფასების ჩატარებას;
- კანდიდატი გადაწყვეტს საფრენოსნო შეფასების შეწყვეტას;
- კანდიდატის მიერ წარმოებულ საფრენოსნო გამოცდას წყვეტს შესაფასებელი მფრინავი;
- კანდიდატის მიერ წარმოებული საფრენოსნო შეფასება შეზღუდულია საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის ან ექსპლუატანტის მიერ, რაც ხელს უშლის ან შეუძლებელს ხდის საფრენოსნო შეფასების პროგრამის შესრულებას გონივრულ ვადაში, ლოგიკური თანმიმდევრობით ან ყველა სავალდებულო მოქმედების თანმიმდევრობით;
- სააგენტოს ინსპექტორი იღებს სათანადო გადაწყვეტილებას ფრენის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე;

შეწყვეტილი საფრენოსნო შემოწმება არ შეფასდება. ნებისმიერი შეწყვეტილი საფრენოსნო შემოწმება უნდა ჩატარდეს ხელახლა, პროცედურების სრული დაცვით.

#### 12.4.5. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის უფლებამოსილების ვადის ამოწურვა

უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის უფლებამოსილების მოქმედება შეჩერდება, როდესაც:

- ა) უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის სხ ტიპზე დაშვებისა და სახელსაწყო ფრენების ოსტატობის აღნიშვნის მოქმედების ვადა ამოიწურვის შემდეგ არ გაგრძელდება;
- ბ) სააგენტოს ინსპექტორი ვერ განახორციელებს უფროს პილოტ-ინსტრუქტორზე ზედამხედველობას ოსტატობის მოქმედების ვადის პერიოდში იმ შემთხვევაში, როდესაც არ ხდება ჩატარებული პრაქტიკული წვრთნისა და უნარების შემოწმების წარმოდგენა დანართი 4-ის მეშვეობით, რომელზეც ხელს აწერს აღნიშნული უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი;
- გ) ვერ აკმაყოფილებს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის უფლებამოსილების შესანარჩუნებლად საჭირო მოთხოვნას;

ამ ქვეთავში აღწერილი გარემოებების გამო შეჩერებული ან ჩამორთმეული აქვს უფლებამოსილება. ასეთ შემთხვევაში, უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის უფლებამოსილების განახლების მოთხოვნა სააგენტოს მხრიდან არ დაკმაყოფილდება.

#### 12.5. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორზე ზედამხედველობა

სააგენტო ვალდებულია განახორციელოს ყველა უფროსი პილოტ-ინსტრუქტორზე ზედამხედველობა. სააგენტოს პილოტ-ინსპექტორი ზედამხედველობას ახორციელებს სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სიის მიხედვით. აღნიშნულ სია მოიცავს ყველა დანიშნულ უფროსი პილოტ-ინსტრუქტორს, სხ-ს კლასისა და ტიპის მიხედვით. ამავე სიაში ასევე მითითებულია უფლებამოსილების მოქმედების ვადები, რისი მეშვეობითაც სააგენტოს პილოტ-ინსპექტორი ახორციელებს ვადების მონიტორინგს და შესაბამის საზედამხედველო საქმიანობას.

ზედამხედველობის პროცესში სააგენტოს პილოტ-ინსპექტორი უნდა დარწმუნდეს, რომ:



|                                                                                   |                                                                            |                  |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------|------------------|------------|
|  | <b>დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო</b>                     | <b>№</b>         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                                            | <b>თარიღი</b>    | 26.08.2025 |
|                                                                                   | <b>13. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის ოსტატობის ვადის გაგრძელების პროცედურა</b> | <b>ვერსიის N</b> | 0.1        |
|                                                                                   |                                                                            | <b>გვერდი</b>    | 26/80      |

- ა) უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის ოსტატობის ვადის ამოწურვამდე გავლილი ჰქონდეს გაცნობითი ხასიათის ინსტრუქტაჟი, რომელსაც უზრუნველყოფს სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსპექტორი.
- ბ) უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის (TRE/SFE) ოსტატობის ვადის ყოველი 12 თვის პერიოდში ჩატარებული ჰქონდეს არანაკლებ 2 შემოწმება.
- გ) TRE-ის შემთხვევაში ოსტატობის ვადის ბოლო წელს განვლილი უნდა ჰქონდეს საკვალიფიკაციო შემოწმება და კომპეტენციის შეფასება, ხოლო SFE-ის შემთხვევაში მხოლოდ კომპეტენციის.
- დ) უფროსმა პილოტ-ინსტრუქტორმა გაიარა ყოველწლიური ოსტატობის დამადასტურებელი შეფასება საწაფზე ან საჰაერო ხომალდზე;
- ე) ყველა უფროსმა პილოტ-ინსტრუქტორმა ჩაატარა შესაბამისი რაოდენობის შეფასებები და 3 წლის პერიოდში ერთხელ მაინც იქნა შემოწმებული სააგენტოს ინსპექტორის მიერ ან უფლებამოსილი უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის მიერ ამ სახელმძღვანელოს კითხვარი FSD 05-11 ის შესაბამისად;

## 12.6. სხვა სახელმწიფოს /გამომცდელის/ საწაფის გამომცდელის განაცხადის განხილვა/შეფასება/დადასტურების პროცესის წარმართვა.

1. სააგენტოს მიერ გაცემული პილოტის მოწმობის მფლობელს უფლება აქვს გაიაროს უნარების ან საკვალიფიკაციო შემოწმება სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული პილოტის მოწმობის მფლობელთან, რომელსაც ასევე აქვს პილოტის უნარების ან საკვალიფიკაციო შემოწმების ჩატარების უფლება და აღიარებულია სააგენტოს მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემოწმება ხორციელდება სააგენტოს მიერ აღიარებულ სდ-ში.  
სხვა სახელმწიფოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის (გამომცდელს) უფლება აქვს ჩაუტაროს სააგენტოს მიერ გაცემული პილოტის მოწმობის მფლობელს უნარების ან საკვალიფიკაციო შემოწმება, თუ განაცხადს წარუდგენს სააგენტოს ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესის მე-8 დანართის შესაბამისად შემდეგ ელ-ფოსტაზე : flightstandards@gcaa.ge
2. სხვა სახელმწიფოს მიერ გაცემული უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი (გამომცდელი) ვალდებულია გაეცნოს სააგენტოს მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო ან უნარების შემოწმების ჩატარების პროცედურებს.
3. საკვალიფიკაციო და უნარების შემოწმების პროცედურები გამოქვეყნებულია სააგენტოს ელექტრონულ ვებ-გვერდზე [www.gcaa.ge](http://www.gcaa.ge).
4. პერსონალის ლიცენზირების სპეციალისტი “PEL,, სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსტრუქტორთან ერთად განიხილავს წარმოდგენილ საბუთებს, რომელიც გამოგზავნილი უნდა იყოს შემდეგ ელ-ფოსტაზე: flightstandards@gcaa.ge და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტის საშუალებით აცნობებს განმცხადებელს შემოწმების უფლების აღიარების შესახებ.

## 13. უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის ოსტატობის ვადის გაგრძელების პროცედურა



|                                                                                   |                                                 |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                 | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | 14. დანართები                                   | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                 | გვერდი    | 27/80      |

საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტმა უფროსი პილოტ-ინსტრუქტორობის ოსტატობის (TRE/SFE) ვადის გაგრძელებისთვის სააგენტოს უნდა მიმართოს წერილობითი მოთხოვნით, რომელსაც თან უნდა დაერთოს „ავისპეციალისტების სერტიფიცირების წესის“ 41-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები. აღნიშნული დოკუმენტების წესთან შესაბამისობის შემოწმებას ახორციელებენ სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსპექტორი და პერსონალის ლიცენზირების „PEL“ სპეციალისტი FSD 05-25 უფროსი პილოტ ინსტრუქტორის კვალიფიკაციის გაგრძელების კითხვარის მეშვეობით.

რაც შეეხება საწაფის უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის (SFE) ოსტატობის ვადის გაგრძელებას, საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტმა ვადის გაგრძელებისთვის სააგენტოს უნდა მიმართოს წერილობითი მოთხოვნით, რომელსაც თან უნდა დაერთოს „ავისპეციალისტების სერტიფიცირების წესის“ 41-ე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტების წესთან შესაბამისობის შემოწმებას ახორციელებენ სააგენტოს უფროსი პილოტ-ინსპექტორი და პერსონალის ლიცენზირების „PEL“ სპეციალისტი FSD 05-23 საწაფის პილოტ ინსტრუქტორის კვალიფიკაციის გაგრძელების კითხვარის მეშვეობით. ოსტატობის ვადის გაგრძელების განაცხადის განხილვის ადმინისტრაციული პროცესი ხორციელდება ამავე პროცედურის 12.2-ე („სააგენტოს ვალდებულებები“) და 12.3-3 („ადმინისტრაციული პროცედურების“) იდენტურად.

## 14. დანართები

- FSD 05-11 გამომცდელის კომპეტენციის შეფასების ფორმა
- FSD 05-19 საწაფის პილოტ-ინსტრუქტორის უფლებამოსილების მინიჭებისთვის წარმოდგენილი საჭირო საბუთების შემოწმების კითხვარი
- FSD 05-20 უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის უფლებამოსილების მინიჭებისთვის წარმოდგენილი საჭირო საბუთების შემოწმების კითხვარი
- FSD 05-23 საწაფის პილოტ-ინსტრუქტორის
- უფლებამოსილების გაგრძელებისთვის წარმოდგენილი საჭირო საბუთების შემოწმების კითხვარი
- FSD 05-25 უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის უფლებამოსილების გაგრძელებისთვის წარმოდგენილი საჭირო საბუთების შემოწმების კითხვარი
- FSD 06-4 გაცნობითი ხასიათის ინსტრუქტაჟის ფორმა.

### 14.1. სხვა ქვეყნის უფროსი პილოტ-ინსტრუქტორების ინსტრუქტაჟი

#### 1. Introduction

#### The Regulations

Order no.150 of the Director of the LEPL - Civil Aviation Agency dated 30 August, 2012 on the Approval of the “Aviation Personnel Certification Rule”.

|                                                                                   |                                                 |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                 | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | 14. დანართები                                   | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                 | გვერდი    | 28/80      |

#### 1.1.1 Article 12 (23/24) – ‘Foreign Examiners’:

Holders of an examiner certificate shall not conduct skill tests, proficiency checks or assessments of competence of an applicant for which the competent authority is GCAA, unless they have reviewed procedures from the GCAA on the national administrative procedures, requirements for protection of personal data, liability, accident insurance and fees.

#### 2. Purpose of this notice

All examiners must ensure that they are familiar with the national administrative procedures, laws, regulations and requirements of Georgia.

#### 3. Contact details

Before conduction skill tests, proficiency checks or assessments of competence examiners shall send the notification details by email to [flightstandards@gcaa.ge](mailto:flightstandards@gcaa.ge) in accordance with appendix 1 of this Chapter. Examiner is not allowed to conduct skill tests, proficiency checks or assessments of competence, until they will get confirmation from GCAA to conduct required check. Examiner will get confirmation via Email.

#### 2. National Administrative Procedures

##### 2.1 Conduct of skill tests

Before conducting the skill test the examiner must ensure that the applicant has completed all the training required by regulations.

An examiner can not conduct a skill test for the issue of a license, rating or certificate for the holder of or an applicant for a Georgian license, unless he/she is familiar with the national administrative procedures, laws, regulations of GCAA.

##### 2.2. Issue, Revalidation and renewal of National Examiner Certificates

All assessments of competence for the issue, revalidation and renewal of an examiner certificate can only be conducted by a GCAA inspector or foreign examiner if approved by GCAA.

##### 2.3 Revalidation of ratings

Examiners may conduct a proficiency check for the revalidation of a rating once they are familiar with the national administrative procedures, laws, regulations of GCAA. Examiner may endorse the new validity date of the rating in the license.

|                                                                                   |                                                 |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                 | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | 14. დანართები                                   | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                 | გვერდი    | 29/80      |

## 2.4 Renewal of ratings

Examiners may conduct a proficiency check for the renewal of a rating once they are familiar with the national administrative procedures, laws, regulations of GCAA. Examiner may not endorse the renewal of the rating in a pilot's license, if the license is lapsed.

## 2.5 Oversight of Examiners

GCAA reserves the right to observe any skill test, proficiency check conducted on the holder of or an applicant for a Georgian license or rating;

GCAA may include in its oversight program examiners not certified by GCAA, who conduct skill tests, proficiency checks to monitor their conduct and performance.

## 2.6 Conduct of the test, proficiency check or assessment of competence

a) When conducting skill tests, proficiency checks and assessments of competence, examiners shall:

- (1) Ensure that communication with the applicant can be established without language barriers;
- (b) After completion of the skill test or proficiency check, the examiner shall:
  - (1) Inform the applicant of the result of the test. In the event of a partial pass or fail, the examiner shall inform the applicant that he/she may not exercise the privileges of the rating until a full pass has been obtained. The examiner shall detail any further training requirement and explain the applicant's right of appeal;
  - (2) In the event of a pass in a proficiency check for revalidation and renewal endorse the applicant's license with the new expiry date as it is explained in 2.3 and 2.4.
  - (3) Provide the applicant with a signed report of the skill test or proficiency check.

## 2.7 Resolution of disputes

Examiners must brief the holder of or an applicant for a Georgian license or rating on the procedures of GCAA for investigating any complaint about the conduct of the test.

An applicant who wishes to dispute the conduct of the skill test, proficiency check may refer the case in writing in the following sequence, to:

- 1) The ATO where the event took place;
- 2) The NAA which issued the examiner certificate to review the case;
- 3) GCAA, if the candidate wishes to request GCAA to intervene.

If the complaint is brought to the attention of GCAA, regarding the conduct of a skill test,

|                                                                                   |                                                 |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                 | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | 14. დანართები                                   | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                 | გვერდი    | 30/80      |

proficiency check conducted by an examiner not certified by GCAA, then GCAA shall refer the complaint to the competent authority which issued the examiner certificate.

### 3. Protection of Personal data

The flight test form and any other personal information may only be passed on to the GCAA, the non- Georgian examiner's own Authority as required, and to the pilot's employer.

No information may be passed on to others.

Examiners shall maintain records for 5 years with details of all skill tests, proficiency checks and assessment of competence performed and of their results.

Upon request by the competent authority responsible for the examiner certificate, or the applicant's license, examiners shall submit all records and reports, and any information as required for oversight purposes.

### 4. Examiner Liability and Insurance

Examiners act as individual persons and are personally liable for their actions or omissions. Examiners are not contracted by GCAA and are not employed by GCAA.

An examiner must not conduct a test, check or assessment of competence unless he satisfies the full requirements of the "Aviation Personnel Certification Rule" and has the required authorization from his competent authority and from GCAA.

An examiner has to comply with the procedures required by the "Aviation Personnel Certification Rule".

An examiner must exercise standard professional skill, care and proper conduct as expected of an examiner. An examiner who does not exercise these or is negligent as examiner or as pilot in command is personally liable in case of an accident for loss or injury.

An examiner who does not exercise professional skill, care or proper conduct is personally liable for any loss the applicant may suffer.

GCAA does not provide any accident insurance during the test or check. This is the responsibility of the examiner.

Examiners are advised to take professional advice on insurance to cover their activities; including insurance against any involvement in a flight, test or instruction, which might lead to an accident resulting in death, injury or loss and the resulting claim for damages.

### 5. Fees

The fee will be that agreed between the examiner and the applicant.

|                                                                                   |                                                 |           |            |
|-----------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------|------------|
|  | დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო | №         | FSD 03-3   |
|                                                                                   |                                                 | თარიღი    | 26.08.2025 |
|                                                                                   | 14. დანართები                                   | ვერსიის N | 0.1        |
|                                                                                   |                                                 | გვერდი    | 31/80      |

## 6. Questions

Any questions from examiners on this briefing should be sent by email for the attention of the Flight standards Certification and Inspection Department [examiner@gcaa.ge](mailto:examiner@gcaa.ge).

### 14.2. Appendix 4 (part 1)

მრავალპილოტიანი თვითმფრინავებისა და ერთპილოტიანი მაღალეფექტური კომპლექსური თვითმფრინავების უნარების/საკვალიფიკაციო შემოწმების ფორმა MULTI-PILOT AEROPLANES AND SINGLE-PILOT HIGH- PERFORMANCE COMPLEX AEROPLANES Skill test/Proficiency check Form.

